ოქმი:**ო37. 3723298001**
თარიღი:**25/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქეთევან ვასაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 20 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ქეთევან ვასაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ქ. ვასაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.მის მიერ ინიცირებული საკითხებიდან აღსანიშნავია,ქალაქის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩების სახელდების პროექტი,საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის პროექტი,საკრებულოს და ბიუროს სხდომების ჩატარების დაზუსტებული გრაფიკები.ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის ცვლილების პროექტი.

ქეთევან ვასაძემ ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. მის მიერ გაწეულ

შუამდგომლობაზე საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებთან,ამომრჩევლების მიერ დასმული პრობლემების განხილვა კომისიების სხდომებზე და შესაბამისი დასკვნების მიწოდება დანიშნულებისამებრ.(მერია,სახელმწიფო ორგანიზაციების შესაბამისი სტრუქტურები). ქეთი ვასაძემ ასევე აღნიშნა მის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შედეგებზე და ასევე სანგარიშო პერიოდის პრიორიტეტების შესახებ.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლ. ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო ქეთევან ვასაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი